ცაგერის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს სხდომის

ოქმიN1

ქ.ცაგერი 16 მარტი 2023

სხდომას ხელმძღვანელობდა: რევაზ ახვლედიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე .

სხდომას ესწრებოდნენ წევრები: დავით ჩაკვეტაძე -პირველადი სტრუქტურული ერთეულის ცაგერის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი.

მამუკა ლეთოდიანი- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი.

სოფიო გვიშიანი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ცაგერის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი.

გოგი კვირიკაშვილი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ცაგერის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი.

თამარ დავითულიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის

განყოფილების უფროსი.

იამზე ბურჯალიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი.

ჯონი ხალიანი- სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ცაგერის რაიონული განყოფილების უფროსი.

მამუკა ჩიქოვანი- ა.ა(იპ) ახალგაზრდობის ,საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი-საბჭოს წევრი.

თემურ კოპალიანი- შ.შ.მ. პირთა წარმომადგენელი .

დღის წესრიგი:

1. შშმ პირების ბაზის განახლება.

/დ.ჩაკვეტაძე/

2. ტურისტული ობიექტების თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით ამ ობიექტების ადაპტირება შშმ პირების საჭიროებებზე.

/ს.გვიშიანი/

3. მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს შენობების ადაპტირების შესახებ შშმ პირების საჭიროებეზე .

/დ.ჩაკვეტაძე/

მოისმინეს:

1- შ.შ.მ. პირთა ბაზის განახლებისა შესახებ .

/დ. ჩაკვეტაძე./

მოგახსენებთ, რომ წლის დასაწყისში ტრადიციულად ხდება შშმ პირების ბაზის განახლება. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა მოახდიანა შშმ პირების ახალი მონაცენმების მოძიება.
უნდა მოგახსენოთ , რომ ამჟამად მუნიციპალიტეტში აღრიცხვაზეა 845 შშმ პირი. მ/შ 0-18 წლამდე- 18 პირი. მნიშვნელოვნად შეზღუდული -505, მკვეთრად შეზღუდული -122, ზომიერად შეზღუდული- 281, მ/შ ქალი - 281, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი -7.
შშმ პირები სარგებლობენ უპირატესობით სოციალური დახმარების მიღების დროს. დროს . წელს გაიზარდა 0-18 შშმ ბავშთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება. 250 ლარიდან 300 ლარამდე.
განახლდა შშმ პირების უფლებათა დაცვის 2023 წლის სამუშაო გეგემა.
აზრი გამოთქვეს: ჯ. ხალიანმა, დ, ჩაკვეტაძემ

დაისვას საკითხი მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის წინაშე ადმინისტრაციულ ერთეულებში შ.შ.მ ბაზის განახლება მერის წარმომადგენლებთან ერთად უზრუნველყონ შშმ პირებზე დამოუკიდებელი აღრიცხვის (კართოთეკა) წარმოდგენა, სადაც გამოჩნდება შშმ პირების ინდივიდუალური საჭიროებები და მათი მოგვარების გზები.

2- ტურისტული ობიექტების თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით ამ ობიექტების ადაპტირება შშმ პირების საჭიროებებზე.

/ს.გვიშიანი/

ტურისტული დაინტერესების მიზნით ლეჩხუმი საკმაოდ მიმზიდველი გახდა. მოგახსენებთ, რომ ბოლო წლებში ლეჩხუმში გაიზარდა ტურისტული მიზნით ვიზიტორთა რიცხვი. შეიქმნა სხვადასხვა ტურისტული ობიექტები, რომელთა რაოდენობა იმედია მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, მნიშვნელოვანია ამ ობიექტების ფიზიკური გარემოს ადაპტირება შშმ პირების საჭიროებებზე.

განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება ამ კუთხით ახალ ობიექტებს და მოხდეს მათი მოწყობა შშმ პირთა საჭიროებებზე. გამოინახოს გზები და საშუალებები უკვე არსებული ტურისტული ობიექტების მოწყობის მიზნით შშმ პირების მოთხოვნების გათვალისწინება.

მისასალმებელია, რომ პროექტი,,ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (GESL)'' საპროექტო იდეების კონკურსში ჩვენს მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადება,,საირმის სვეტებთან მისასვლელ ბილიკებზე ინფრასტრუქტურის მოწყობა'' დადებითი შეფასება მიიღო. აღნიშნულ პროექტში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები.
პროექტის განხორციელების შედეგად მივიღებთ სივრცეს, სადაც დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტი ,,მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები''-ს შესახებ.

აზრი გამოთქვეს : რ. ახვლედიანმა, მ.ლეთოდიამა, დ.ჩაკვეტაძემ

საბჭომ მოიწონა პროექტი,,ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (GESL)'' საპროექტო იდეების კონკურსში ჩვენს მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადება,,საირმის სვეტებთან მისასვლელ ბილიკებზე ინფრასტრუქტურის მოწყობა''

3 -მუნიციპალიტეტის მერიისა სა საკრებულის შენობების ადაპტირების შესახებ შშმ პირების საჭიროებებზე.

/დ.ჩაკვეტაძე/

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მერიამ გარკვეული მუშაობა ჩაატარა შშმ პირების საჭიროებებზე ფიზიკური გარემოს ადაპტირების კუთხით.მუნიციპალიტეტის მერია მუდმივ მონიტორინგს აწარმოებს ახლადაშენებულ ობიექტებზე. მოწესრიგებულია პანდუსები ცსკ-ს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, პოლიციის ,სასამართლოს შენობებზე და ა.შ.
გამოვლენილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობები , რომლებიც საჭიროებენ ადაპტირებას შშმ პირების საჭიროებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით პრობლემას წარმოადგენს მერიისა და

საკრებულოს შენობები.ჯერ კიდევ ვერ მოწესრიგდა ფიზეიკური გარემო შშმ პირების საჭიროებებზე ამ ობიექტებზე. როგორც ცნობილია ამ მიზნით შემუშავებულია პროექტი მერიის შენობისათვის, ხოლო დამუშავების პროცეშია საკრებულოს შენობის პროექტი. იმედია,რაც შეიძლება უმოკლეს დროში მოხდება ამ პრობლემის მოგვარება.

აზრი გამოთქვეს : რ. ახვლედიანმა ,ს. გვიშიანმა, დ.ჩაკვეტაძემ

აღინიშნა რომ, შშმ პირებისათვის ფიზიკური გარემოს ადაპტირების კუთხით მერიამ ჩაატარა გარკვეული მუშაობა, საკრებულოსა და მერიის შენობებზე მოეწყოს შშმ პირებზე გათვლილი ინფრსტრუქტურა-პანდუსები.

სხდომის თავჯდომარე: /რ. ახვლედიანი/

მდივანი: /მ.გუგავა/

საკრებულოს შენობები.ჯერ კიდევ ვერ მოწესრიგდა ფიზეიკური გარემო შშმ პირების საჭიროებებზე ამ ობიექტებზე. როგორც ცნობილია ამ მიზნით შემუშავებულია პროექტი მერიის შენობისათვის, ხოლო დამუშავების პროცეშია საკრებულოს შენობის პროექტი. იმედია,რაც შეიძლება უმოკლეს დროში მოხდება ამ პრობლემის მოგვარება.

აზრი გამოთქვეს : რ. ახვლედიანმა ,ს. გვიშიანმა, დ.ჩაკვეტაძემ

აღინიშნა რომ, შშმ პირებისათვის ფიზიკური გარემოს ადაპტირების კუთხით მერიამ ჩაატარა გარკვეული მუშაობა, საკრებულოსა და მერიის შენობებზე მოეწყოს შშმ პირებზე გათვლილი ინფრსტრუქტურა-პანდუსები.

სხდომის თავჯდომარე: /რ. ახვლედიანი/

მდივანი: /მ.გუგავა/